ავტობიოგრაფია

მე, ნინო ონიანი დავიბადე 1965 წლის 28 აპრილს ქ. თბილისში.

1982 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა.

1987 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

1999 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1989-1992 წლებში ვმუშაობდი სსრკ შსს რეგიონალურ კრიმინოლოგიური პრობლემების საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის მე-6 კავკასიის განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1992-1997 წლებში ვმუშაობდი საქართველოს რესპუბლიკის შსს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლად.

1997-1999 წლებში ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებლო წარმოების ინსპექტორად.

1999-2000 წლებში ვმუშაობდი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სხდომის მდივნად.

2000-2001 წლებში ვმუშაობდი ადვოკატთა კავშირში, ადვოკატთა გაერთიანება „ვაკეში“.

2002 წლის იანვრიდან ვკითხულობდი ლექციებს ადმინისტრაციული სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორად და ჰუმანიტარულ განყოფილებებზე.

2002-2003 წლებში ვმუშაობდი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სპეციალისტად. იმავე წლიდან ვმუშაობდი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტში მოწვეულ სპეციალისტად.

2003 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

2003-2005 წლებში დავინიშნე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

2005-2015 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2013 წელს ჩავირიცხე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტურანტურაში სპეციალობით - სამართალი.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცული მაქვს რეფერატები თემაზე:

- ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილებებში;
- საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით;
- ეფექტური მმართველობისა და დისკრეციული უფლებამოსილების ურთიერთმიმართება;

2016 წლის თებერვლიდან ვარ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
2018 წლის თებერვლიდან თანამდებობაზე გამწესებული ვარ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.